



## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 878

თბილისი

„05“ 07 2019.

2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ტურნებში გამარჯვებული ოლიმპიადის მონაწილეებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სიის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის N111/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის“ 24-ე და 25-ე მუხლებისა და „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის N776 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის“ საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 21 მაისის N604311 და 2019 წლის 06 ივნისის N709087 მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით

### ვბრძანებ:

1. 2018-2019 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის:

ა) მე-3 ტურის გამარჯვებულების სია და დაჯილდოების ფორმები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) მე-2 ტურის გამარჯვებულების სია და დაჯილდოების ფორმები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

2. საგნის შესაბამისად შექმნილი რეიტინგული სიის პირველ 3 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცეს მადლობის სიგელები ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი